ასეთია მიზეზი, ჩივინი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა. იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლახთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს დამისი საშულებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომელთა ზღვას დაუკავშირდებით აქ თუ ხომალდებს ააგებ, შეფევე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ

ნათ და ვიდრე ეს თვით პროკოპისაც აქვს ამ ადგილას მოთხრობილი, პროკოპი ცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს იოანე ციბე იყო კაცი, ყოვლად საზიხლარი და «მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში», და თითქოს მან თავისი მოქმედებით «რომაელთა დე ლახთა საქმეები გაამრუდა და არიდარია», მაშინ როდესაც ყველაფერი ეს მიეწერება არა იოანე ციბეს, არამედ იმ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც ამდროინდელ ბიზანტიაში იყო შემოღებული.

მართალია, ჯერ ჩვენ არა გვაქვს ნათელი სურათი ბიზანტიის ეკონომიური მდგომარეობისა VI საუკუნეში, მაგრამ ამდროინდელი ნოველები, ერთი მხრით, და პროკოპის „საიდუმლო ისტორია“, მეორე მხრით; მიგვითითებენ იმ სიძნელეებზე, იმ ეკონომიურ კრიზისზე, რომელსაც ბიზანტია განიცდიდა. ამ კრიზისიდან ადვილ დასაღწევად ერთ-ერთ ძირითად ზომად მთავრობის მიერ მიჩნეულ იქმნა ვაჭრობის მონოპოლიის შემოღება. ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული წყაროებიდან თანდათან ირკვევა, რომ ეს მონოპოლია შეეხებოდა არა მარტო ფუფუნების და არამასიური მოხმარების საგნებს (მაგ., აბრეშუმს), არამედ პირველმთხოვნილების, საგნებსაც (მაგ., პურს). ასეთი მონოპოლია იყო შემოღებული, მაგალითად, კონსტანტინეპოლში და ალექსანდრიაში (Procopius, Anecdota, ed Haury III, 1 p. 164), და ეს მონოპოლია შეეხებოდა არა მარტო საბითუმო ვაჭრობას, არამედ წვრილდასაც. რომ ლახეთში შემოღებული წესები ვაჭრობისა იოანე ციბეს მიერ მოგონილი კი არ იყო, არამედ ცენტრალური მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტიდან გამომდინარეობდა, ჩანს იქიდანაც, რომ მაგ. ალექსანდრიაში შემოღებულ წესებს პროკოპი ისეთივე გამოთქმებით ახასიათებს, როგორც ლახეთში შემოღებულს. იქაც ალექსანდრიის პრეფექტი ჰეფესტე წოდებულია *κατακλις*, როგორც იოანე ციბე, რომელიც ჰეფესტეს მსგავსად ფასებს, თვითონა წესებს.

γὰρ ἀπαγγελλόντων ἔφρασκεν ἀκη-
κοῦναι τὰ πρότερα θύσοδον ἐπει-
κῶς καὶ ἀνδρὶ εὐζῶνῃ τὴν χῶ-
ραν εἶναι, κρημνῶδη τε ὑπερφυῖς
οὖσαν καὶ δένδρως συχοῖς τε
καὶ ἀμφιλαφείων ἐπὶ μικρότατον
συνεχομένην. οἱ δὲ οἱ ἰσχυρίζοντο
παντὶ τῷ Περσῶν στρατῷ τὴν
ἐκείνην ὁδὸν εὐπετῆ ἔσσεσθαι, τέ-
μνουσι μὲν τὰ δένδρα, ἐς δὲ τῶν
κρημνῶν τὰς δυσχωρίας αὐτὰ ἐμ-
βαλλομένοις. καὶ αὐτοὶ ὠμολογοῦν
τῆς τε ὁδοῦ ἡγεμόνες καὶ τοῦ ἔρ-
γου τοῦτου Πέρσαις ἔσσεσθαι¹.
ταύτη ὁ Χοσρόης ἐπηρμένος
τῆ ὑποθήκῃ στρατιάν τε πολ-
λὴν ἡγείρε καὶ τὰ ἐς τὴν ἔφοδον
ἐξηρτῆτο, οὕτε τὸ βούλευμα ἐς
Πέρσας ἐξενεγκῶν, πλὴν γε ὅθι
οἱς τὰ ἀπόρρητα κοινολογεῖσθαι
μόνοις εἰῶναι, καὶ τοῖς πρέσβεισιν
ἐπαγγείλας ὅπως τὰ πρασσόμενα
μηδενὶ φράσωσιν, ἀλλ' ἐς Ἰβηρίαν
τῷ λόγῳ ἐστέλλετο, ὡς τὰ τῆδε
κατὰσθησόμενος πράγματα. ἔθνος
γὰρ Οὐγγικὸν ἐνταυθὰ πῃ ἐπισκη-
ψαι τῆ Περσῶν² ἀρχῆ ἐπεσῆμιζεν.

გასაგრძობი შეიქმნებოდა, როდესაც ისინი ხეებს მოსჭრიდნ და მათ
დაქანებულ ადგილთა ძნელგასავლებში ჩაყრიდნ. თვითონ ალუთ-
ქვეს, რომ გზისა და ამ საქმის წინამძღოლებად ეყოლებოდათ სპარსე-
ლებს. ამ საწინდრით წაქეზებულმა ხოსრომ შეკრიბა დიდძალი ჯარი
და მოემზადა ლაშქრობისათვის, მაგრამ არ გაუმხილა თავისი განზრ-
ახვა სპარსელებს გარდა იმ პირებისა, რომელთაც მხოლოდ ჩვეუ-
ლებრივ გაანდობდა ხოლმე საიდუმლოებას; ელჩებსაც განუცხადა,
რათა არავისათვის გაემჟღავნებინათ ეს საქმე; თქმით-კი ის მიემ-
გზავრებოდა იბერიაში, ვითომც იქაური საქმეების მოსაწესრიგებ-
ლად: მიზნებად ასახელებდა, ვითომც აქ სადღაც ჰუნების ტომი თავს
დასხმოდეს სპარსელთა ძალებს (Haury I 215—221).

¹) ἔσσεσθαι: πρόπογοι P (შდ. ჰაურო III 391). ²) Περσῶν] ῥωμαίων C

მოსახლვრე ბარბაროსებმა ყოველ
წელიწადს არბიონ რომელთა მი-
წაწყალი. ყოველ შემთხვევაში
თქვენ ალბათ იცით, რომ ლახთა
ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების
წინააღმდეგ საფარს წარმოადგენ-
და. მაშ, როდესაც სამართლიანო-
ბა გიკარნახებს, ხოლო სარგებლო-
ბა თვალსაჩინოა, ვთქვით, მო-
კლებული იქნება ყოველგვარ გონიე-
რებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება
მიღებული“. აი ეს თქვეს ელჩებმა.

ამ სიტყვებით ნასიამოვნებმა ხო-
სრომ ალუთქვა ლახებს დახმარება
და შეეკითხა ელჩებს, შესაძლებელი
იქნება თუ არაო, რომ ის დიდი
ჯარით მივიდეს კოლხიდის ქვეყა-
ნაში. ბევრს უთქვამს—განაცხადა
მან—და წინათაც მსმენია, რომ ეს
ქვეყანა საკმაოდ ძნელგასავლელია
მსუბუქად ჩაცმული კაცისათვისაც-
კი, რადგან ის ზომიან მეტად და-
ქანებულია და ხშირად უზარმაზა-
რი ტყეების შემცველი დიდ მან-
ძილზე. ხოლო ისინი დაჟინებით
უმტკიცებდნ, რომ სპარსელთა
მთელი ჯარისთვის ის გზა ადვილი

ქალაქი პეტრა.

Χοσρόης δὲ καὶ ὁ Μήδων στρα-
τός, ἐπειδὴ τὴν Ἰβηρίαν ἀμει-
φάντες ἐν τοῖς τῆς Λαζიკῆς ὄροις,
τῶν πρέσβειων σφίσιν ἡγουμένων,
ἐγένοντο, τὰ δένδρα οὐδενὸς ἀν-
τιστατοῦντος ἐκτέμνοντες, ἄπερ
ἐνταῦθα συχνὰ τε καὶ δεινῶς
ἀμφιλαφῆ τε καὶ σφηλὰ ἐν χω-
ρίαις κρημνῶσεσιν ὄντα παντάπα-
σιν ἄβατον τῆ στρατιᾶ τὴν χώραν
ἐποίει, ταῦτά τε ἐς τὰς δυσχω-
ρίας ἐρρίπτουσαν καὶ ὕλως εὐπετῆ
τὴν ὁδὸν ἀπειργάζοντα. ἀφικόμε-
νοις τε αὐτοῖς ἐς μέσην Κολχίδα
(οὗ δὲ τὰ τε ἀμφὶ Μήδειαν καὶ
Ἰάσονα οἱ ποιηταὶ γεγενῆσθαι
μυθολογοῦσιν) ἐλθὼν Γουβάρης, ὁ
Λαζῶν βασιλεὺς, προσεκίνησεν
ἄτε δεσπότην Χοσρόην τὸν Καβά-
δου, αὐτὸν τε οἱ ξὺν τοῖς βασιλείοις
καὶ Λαζიკῆν ἐνδιδοὺς ἄπασαν.

Ἔστι δὲ Πέτρα πόλις ἐπιθα-
λασσία ἐν Κόλχοις, πρὸς τῇ
Ἐξείνῳ καλούμένῳ πόντῳ, ἣν
δὴ φαῦλόν τι χωρίον τὰ πρότερον
οὖσαν Ἰουστινιανὸς βασιλεὺς τῇ
τε περιβόλῳ καὶ τῇ ἄλλῃ κατα-
σκευῇ ἐχυρὰν τε καὶ ἄλλως ἐπι-
φανῆ, κατεστήσατο. ἐνταῦθα τὸ
Ῥωμαίων στρατεύμα εἶναι ξὺν τῇ
Ἰωάννῃ μαθῶν ὁ Χοσρόης στρα-
τιᾶν τε καὶ στρατηγὸν Ἀνιαβέδην
ὡς αὐτῶν ἐξελθόντας ἐπ' αὐ-
τοὺς ἐπεμψε. γγούς δὲ Ἰωάννης

II 17. როდესაც ხოსრომ და
მილთა ჯარმა იბერიის გავლის
შემდეგ ლაზიკის საზღვრებში მოა-
ლწიეს—ელჩები მათ წინუძლო-
დენ—იმათ დაიწყეს, ისე რომ არა-
ვინ წინააღმდეგობას არ უწევდა,
ხეების მოჭრა, რომელიც იქ, და-
ქანებულ ადგილებში, მეტად ხში-
რი, შტომრავალი და მაღალი იყო
და ჯარისათვის იმ ქვეყანას სრუ-
ლიად გაუვალს ხდიდა, ჰყრიდენ
მათ ძნელსავალ ადგილებში და
სრულიად ადვილგასავლელად აქ-
ცევდენ გზას. როდესაც მიაღწიეს
შუა კოლხეთს (სადაც ადგილი
ჰქონდა მედეას და იასონის ამბავს,
როგორც ამას პოეტები მოგვი-
თხრობენ), მოვიდა გუბაზი, ლაზ-
თა მეფე, ეთაყვანა ხოსროს კავა-
დის ძეს, ვითარცა ბატონს, და
თავისი თავი სამეფო ძალაუფლე-
ბითურთ და მთელი ლაზიკე გადა-
სცა მას.

პეტრა ზღვისპირა ქალაქია
კოლხეთში ეგრეთწოდებულ ექსი-
ნის პონტოსთან; ის უმნიშვნელო
იყო წინათ, ხოლო იუსტინიანე მე-
ფემ, გარეზღუდისა და სხვა მინა-
შენების საშუალებით გაამაგრა და
ყოველმხრივ გაამშვენებინა კიდეც.
როდესაც ხოსრომ გაიგო, რომ იქ
რომაელთა ჯარი იყო ითანეთურთ,
მან გაგზავნა მათ წინააღმდეგ ჯა-
რი და სარდალი ანიაბელი იმ მი-
ზნით, რომ მათ პირველი იერი-
შითვე აეღოთ ქარაი. როგორც კი

τὴν ἔφοδον οὕτε τοῦ περιβόλου
 τινὰ ἔξω γενέσθαι οὕτε ἀπὸ τῶν
 ἐπάλξεων φανῆναι τοῖς πλεμίοις
 ἐκέλευσεν, ἀλλὰ πᾶν ἔξεπλίσας
 τὸ στρατεύμα πλησίον που τῶν
 πυλῶν ἔστησεν, ἐπιστείλας σιγῇ
 ἔχεσθαι, μῆτε ἦχον μῆτε φωνὴν
 ἀφιέντας τινά. οἱ γοῦν Πέρσαι
 ἀγχιστά πύου τοῦ περιβόλου γενόμε-
 νοι, ἐπεὶ οὐδὲν σφίσι πολέμιον
 οὕτε καθωραῖτο οὐτ' ἠκούετο,
 ἔρημὸν ἀνδρῶν εἶναι τὴν πόλιν,
 Ῥωμαίων αὐτὴν ἐκλελοιπῶτων,
 ἐνόμισαν. εἰδὲ δὴ ἔτι μάλλον ἀμφὶ
 τὸν περιβόλον ἦλθον, ὡς κλίμακας
 εὐθύς, ἅτε οὐδενὸς ἀμυνομένου,
 ἐπιθήσοντες. πολέμιόν τε οὐδὲν
 οὕτε ὄρωντες οὕτε ἀκούοντες, πέμ-
 φαντες παρὰ Χοσρόην τὰ πα-
 ρόντα σφίσι ἐδήλουν. καὶ ὅς τὸ
 μὲν πλείστον τοῦ στρατοῦ πέμψας
 πανταχόθεν ἀποπειράσθαι τοῦ
 περιβόλου ἐκέλευε, κριθῆναι τε τῆ
 μηχανῇ ἀμφὶ τὰς πύλας χρῆσθαι
 τῶν τιμῶν ἀρχόντων ἐπέστελλεν, ἐν
 δὲ τῷ λόφῳ καυθήμενος, ὅς δὴ τῆ
 πόλει ὡς ἀγχοτάτω ἐπίκειται, θεα-
 τῆς τῶν πρασσομένων ἐγίνετο. αὐ-
 τήκα δὲ Ῥωμαῖοι τὰς τε πύλας ἀν-
 ἐκλινον ἐκ τοῦ ἀφηνείου καὶ ἀπρο-
 δόκητοι ἐπιπεσόντες πλείστους
 τῶν πολέμιων διέφθειραν. καὶ μά-
 λιστα τοὺς ἀμφὶ τὸν κριθὸν τεταγ-
 μένους. οἱ δὲ λοιποὶ μόλις ξὺν τῷ
 στρατηγῷ διαφυγόντες ἐσωθήσαν.
 θυμῷ τε ὁ Χοσρόης ἐχόμενος
 Ἀνιαβέδην ἀνεσχολόπισεν, ἅτε
 καταστρατηγηθέντα πρὸς τοῦ.

ვაიგო იოანემ თავდასხმის შესახებ,
 ბრძანა, რომ არავინ ზღუდის იქით
 არ გასულიყო და არც ვინმე კე-
 ლების ნიკებებიდან მტერს და-
 ნახვებოდა; მან მთელი ჯარი შეა-
 იარაღა, ქალაქის კარების მახლო-
 ბლად დააყენა და უბრძანა სიჩუმე
 დაეცვათ ისე, რომ კრინტი არა-
 ვის დაეძრა. და, აი, როდესაც
 სპარსელები ზღუდეს მოუახლოვ-
 დნენ, და მოწინააღმდეგეთაგან ვერც
 ვერავინ დაინახეს, ვერც ყურით
 მოჰკრეს საღმე, იფიქრეს, რომე-
 ლებს ქალაქი დაუტოვებიათ და
 იგი დაცალიერებულაო. ამიტომ
 ისინი კიდევ უფრო ახლოს მივი-
 ბეებში მიედგათ, რადგან კერძო
 დამცველი არავინ იყო. ვინაიდან
 ისინი მტრისას ვერაფერს ვერც
 ჰხედავდნენ, არც ესმოდათ, გაუგ-
 ხანენ ხოსროს კაცობი და აცნო-
 ბეს საქმის ვითარება. და იმანაც
 გაუგხანა მეტი წილი ჯარისა და
 უბრძანა ყოველი მხრიდან ცდი-
 ლიყვნენ ზღუდის აღებას; ერთს
 მთავართაგანს იმასაც უბრძანებდა,
 რომ კარებისათვის კრიოს მანქანა
 გამოეყენებინა, ხოლო ის თვითონ
 იჯდა ბორცვზე, რომელიც ქალა-
 ქის მახლობლად აღმართულიყო,
 და უყურებდა, თუ რა ხდებოდა.
 მაშინვე რომელებმა უცებ გააღეს
 კარები, მოულოდნელად თავს
 დაესხენ და ამოყლიტეს მეტი წი-
 ლი მტრისა, განსაკუთრებით ისი-
 ნი, რომელიც მანქანასთან იყვ-
 ნენ დაყენებული: დანარჩენები კი

Ἰωάννου, καπήλου τε καὶ ἀπο-
λέμου τὸ παράπαν ἀνδρῶς. τινὲς
δὲ οὐκ Ἀνιβαδέην, ἀλλὰ τὸν ἀρ-
χόντα, ὃς δὴ ἐφειστήκει τοῖς τὸν
κρίδον ἐνεργουσίην, ἀνασκολοπισ-
θήναι φασι. αὐτὸς δὲ ἄρας παντὶ
τῷ στρατῷ ἄγχιστά τε τοῦ Πέ-
τρως περιβόλου ἀφίκετο καὶ στρα-
τοπεδευσάμενος ἐς π.λιουρχίαν κα-
θίστατο. τῇ δὲ ὑστεραίᾳ κήκλω
περιῶν τὸν περιβόλον, ἐπεὶ οὐ
λίαν ἀξιόμαχον αὐτὸν ἐπάπτου-
σεν εἶναι, τειχομαχεῖν ἔγνων. τό-
τε στρατεύμα ὄλον ἐνταῦθα ἐπα-
γαγὼν ἔργου εἶχετο, καὶ τοξεύειν
ἔπαντας ἐπὶ τὰς ἐπάλξεις ἐκέ-
λευε. Ῥωμαῖοι δὲ ἀμυρόμενοι
ταῖς τε μηχαναῖς καὶ πᾶσιν
ἐχρῶντο τοξεύμασι. τὰ μὲν
οὖν πρῶτα Πέρσαι, καίπερ συχνὰ
κομιτῆ βάλλοντες, ὀλίγα τε Ῥω-
μαῖους ἐλύπον καὶ πάλλα πρὸς
ἐκείνων, ἅτε ἀπ' ὑψηλῶν βαλλόμε-
νοι, κακὰ ἔπασχον. ἔπειτα δὲ (καὶ
γὰρ ἔδει Πέτρων Χοσρόη ἀλῶναι)
βληθεῖς Ἰωάννης τῆς τῆς ἐξ τὸν
τράχηλον θνήσκει, καὶ ἀπ' αὐτοῦ
οἱ ἄλλοι Ῥωμαῖοι ἐς ὀλιγορίαν
ἀπάντων κατέτησαν. τότε μὲν
οὖν βέρβαροι ἐς τὸ στρατόπεδον
ἀνεχώρησαν ἤδη γὰρ καὶ ξυνε-
σκόταξε· τῇ δὲ ὑστεραίᾳ διώρυχα
ἐπὶ τὸν περιβόλον ἐπενόουσαν τῶ-
ν τειχῶν.

ნეს კისერში ხვდება ისანი და კვდება. და ამის გამო დანარჩენი რომაელები სრულიად მოღუტნდებიან. მაშინ უკვე ბარბაროსები ბანაკში დაბრუნდენ, ვინაიდან უკვე ბანდლებოდა; ხოლო მეორე დღეს მათ მოისაზრეს გვირაბი გაეთხარათ ზღუდის დასანგრევად შემდეგი ხერხით.

ძლივს გაიქცენ სარდალთან ერთად და გადაიხენ. გაჯავრებულმა ხოსრომ ანიაბელი სარზე წამოაგებინა, იმიტომ რომ მან თავი მოატყვილებინა იოანეს, მეწვრიძალეს და სრულიად არამეომარ კაცს, ზოგიერთები ამბობენ, რომ სარზე წამოაგეს არა ანიაბელი, არამედ ის მთავარი, რომელიც მანქანასთან მომუშავეებს ზედამდგომლობდა. თვითონ ის კი წამოვიდა მთელი თავისი ჯარით, პეტრას ზღუდეს მიადგა და იქ დაბანაკებულმა ალყა შემოარტყა ქალაქს. ხოლო მეორე დღეს ზღუდეს რომ ირგვლივ შემოუარა და ის ახრი გაბოიტანა, რომ ის არც თუ ისე ბრძოლის გამძლე იყო, გადაწყვიტა სძგერებოდა მას. კიდევაც მიიყვანა იქ მთელი ჯარი და საქმეს შეუდგა: გასცა განკარგულება, რომ ყველას ისრები დაეშინა კედლის ნიკებებისათვის. რომაელებიც მტრის მოგერიებისას ხმარობდნენ მანქანებსა და ყოველგვარ სასროლ იარაღს. პირველ ხანებში სპარსელები მცირედ ვნებდნენ რომაელებს, თუმცა ხშირ-ხშირად ისროდნენ, და, პირობით, თვითონ დიდ ზიანს განიცდიდნენ მათგან, ვინაიდან რომაელები მათ მაღლიდან ესროდნენ. შემდეგ-კი (პეტრა ხომ ხოსროს მიერ აღებული უნდა ყოფილიყო) რაღაც შემთხვევით იოანეს

Πέτρα ἢ πόλις πῆ μὲν ἐκ θαλάσσης ἀπρόσοδος ἐστὶ, πῆ δὲ ἐκ πετρῶν ἀπρόστων, αὐτὴ ταύτη πενταχόθεν ἀνέχουσιν· ἀφ' οὗ δὴ καὶ τὴν προσηγορίαν ἔλαχε ταύτην. μίαν δὲ εἴσοδον ἐν τῷ ἑμαλεῖ ἔχει, καὶ ταύτην οὐ λίαν εὐρεῖν· κρημνοὶ γὰρ αὐτῆς ἐφ' ἑκάτερα ἐξάσσει ἀποκρέμονται. ἐνταῦθα προορώμενοι τὰ πρότερα οἱ τὴν πόλιν δευμάμενοι, μὴ σφίσι τὸ ἐκείνη τῷ περιβόλῳ μέρος ἐπίμαχον εἶη, ταίχη μακρὰ παρὰ τὸν κρημνὸν ἑκάτερον τῆς εἰσόδου ἐπὶ πλεῖστον πεποιήνται. τούτων τε τῶν τειχῶν ἑκατέρωθεν πύργους ἐτεκτήναντο ὄνα, οὐχ ἤπερ εἰώθει, ἀλλὰ τρόπιον ἐτέρωθεν· κενὸν γὰρ τὸ ἐν μέσῳ τῆς οἰκισθείσης χωρὶς οὐδὲ μὴ εἶσασαν, ἀλλ' ὄλας ἐκ γῆς ἄχρι ἐξ ὑψοῦς μέγα τοὺς πύργους λίθοις παμμεγέθεισιν ἀλλήλων ἐχέμενοις εἰργάσαντο, ἔπασ δὴ κριῶ ἢ μιχανῆ ἀλλήως ἦμισα κατασείοντο. τὰ μὲν οὖν Πέτρας τοῦ περιβόλου ταύτη πῆ ἔχει, Πέτρας δὲ λάθρα ἐς τὴν γῆν κατώρυχα ποιησάμενοι ἔγερθεν θατέρω τῶν πύργων ἐγένοντο, τῶν τε λίθων ἐνθῆνδε πολλοὺς ἐκφοροῦντας, ἕλα ἐς τὴν ἐκείνων ἐτίθεντο χώραν, ἄπερ ὀλίγη ὑστερον ἔκασσαν. ἦ τε φλόξ κατὰ βραχὺ αἰρομένη διέθρυψε μὲν τὴν τῶν λίθων ἰσχύν, ἔλον δὲ τὴν πύργον κατασείασα ἐκ τοῦ αἰφνιδίου ἐς τὸ ἕδαφος καθεῖλεν αὐτίκα. Ρωμαῖσι δὲ, οἱ ἐν

ქალაქი პეტრა მიუვალია ჯერ ერთი ზღვის მხრით, მერე ციკაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველმხრით არის აღმართული: აქიდან არის რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად. მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას დაბლობში. ისიც არც თუ ისე ფართე: ვინიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეებია დაკიდებული. რადგან იმათ, რომელთაც ქალაქი პირველად ააშენეს, წინასწარ განსჭერიტეს, რომ ზღუდის ეს ნაწილი არ ყოფილიყო ადვილი იერიშებისათვის, გრძელი კედლები გააკეთეს აქ დიდ მანძილზე მისავალის თვითიული კედლის გასწვრივ და ამ კედლების ორივე მხარეს ორი კოშკი ააგეს, ჩვეულებრივი წესით კი არა, არამედ სხვანაირად. შენობის შუაში იმათ არსად არ დასტოვეს ცარიელი ადგილი, არამედ მთელი ეს კოშკები მიწიდან დაწყებული უმაღლეს წვერამდე უდიდესი, ერთმანერთთან გადახლართული ქვებისაგან ააშენეს, რათა რაც შეიძლება ნაკლებ მოსახერხებელი ყოფილიყო მათი შერყევა კრიოთი ან სხვა მანქანით. აი, ასეთი იყო პეტრას ზღუდის მდგომარეობა. სპარსელებმა რომ მიწაში მალულად გვირაბი გაიყვანეს, ერთ-ერთი კოშკის ქვევით აღმოჩნდნენ; იქიდან გამოალაგეს მრავალი ქვა და მათ ადგილას შემები ჩააწყვეს, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. აღი რომ თან-

τῶ πύργῳ ἦσαν, τοὺς δὲ τῶν
 παυλιάνων ἤσθοντο πρότερον,
 ὅσον αὐτῶ μὴ ξυμπεσεῖν ἐς τὸ
 ἔδαφος, ἀλλὰ φυγόντες ἐντὸς τοῦ
 τῆς πόλεως περιβόλου γενέσθαι
 παρῆν, τε ἦδη τοῖς πλειοῖς ἐν
 τῷ ἔμαλει τειχομαχοῦσι πόνῳ
 οὐδενὶ ¹ τὴν πόλιν κατὰ κράτος
 εἰλεῖν. οὐδὲ δὴ καταρρωθῆκοτες
 Ῥωμαῖοι τοῖς βαρβάροις ἐς λόγους
 ἦλθον, καὶ τὰ πιστὰ ὑπὲρ τῶν
 σωμάτων καὶ τῶν χρημάτων πρὸς
 Χοσρόου λιβόντες σφᾶς τε αὐτούς
 καὶ τὴν πόλιν ἐμολογία παρέδο-
 σαν. οὕτω μὲν Πέτρῳ Χοσρόης
 εἶλε. καὶ τὰ μὲν Ἰωάννου χρήματα
 λίαν ἀδρᾶ εὐρών αὐτὸς ἐλγβε, τῶν
 δὲ ἄλλων οὐδενὸς οὔτε αὐτὸς οὔτε
 τις τῶν Περσῶν ἤψατο, ἀλλὰ Ῥο-
 μαῖοι τὰ σφέτερα αὐτῶν ἔχοντες
 τῶ Μήδων στρατῶ ἀνεμύγνυσαν.

აღმოჩნდა, თვითონ ხოსრომ წაიღო. სხვა არაფრისთვის ხელი არ უხლიათ არც თვით ხოსროს, არც ვინმეს სპარსელთაგანს; რომაელებმა თავიანთი ქონება თვითონ შეინარჩუნეს და ისე შეუერთდენ მიღსა ჯარს.

¹ ხელნაწერებში იკითხება πύργῳ ἔ, ὁμῶς.

² პეტრას მდებარეობა დღემდე გამოურკვეველია, და უბრალოდ მოხსენიებულია (Voyage III, 86) ფიქრობდა, რომ პეტრას ნაშთი უჯენარში უნდა ვეძიოთ წმ. ნიკოლოზის ფორტის 15 ვერსტის მოშორებით ნატანებსა და სკურდებს შუა. ბროსეს აზრით კი პეტრა ქობულეთის მახლობლად უნდა მდებარეობდეს (Additions IV, 103). ვინაიდან უჯენარი (დ. ბაკრატის მიხედვით «ვაშნარი»: Арх. пут. по Гурии и Адчаре, გვ. 275; შდ. გაზეთი „Кавказ“ 1856, № 56, გვ. 225) ზღვას 20 ვერსტით არის მოშორებული, ცხადია, იქ პეტრას ძებნა სრულიად შეუფერებელია, რადგან პროკოპი კესარიელი რამდენსამე ადგილას აღნიშნავს, რომ პეტრა ზღვისპირა ქალაქია (BP II, 15; II 17). პროკოპი კესარიელი უფრო დაწვრილებითაც აღწერს პეტრას მდებარეობას: ის ფაზისის მარჯვნივ მდებარეობს (BP II, 29; BG IV, 2); ნას რომ მიაღწიო, მდინარე ბოა უნდა გადალახო და ფაზისი მარჯვნივ დასტოვო (BP II 29, 23); გარდა ამისა პეტრადან რომ მიდიხარ სამხრეთით, მაშინვე რომაელთა სახლები მიადგები, სადაც მრავლად დასახლებული ადგილები (ათენი, რიხე) შეგხვდება (BP II 29, 22). მართა-

Ἐν τ. ს. თუ ძე Ρελισარი: τε
καὶ ἡ Ῥωμαίων στρατός, ὁ-
δὲν τι πεπυσμένοι ἦν ταύτη ἐπ.
ράτσει, κόσμου πολλῶν ἐκ Δάρια
πόλεως ἐπὶ Νίσιβιν ἦεισαν (Hau-
ry I 224—228).

[სანამ კოლხიდაში 17. თავში მოთხოვნილი ამბები ხდება, სარდალი ველისარი აწყობს ლაშქრობას ნისიბინის და სისაევრანონის სიმაგრის წინააღმდეგ, ხოლო სარკინოხთა მეფეს არეთას ჰგზავნის საბრძოლველად ასურასტანში. ხოსრო ყველაფერ ამას შემდეგ გაიგებს.]

Χοσρόη δὲ Πέτραν ἐλόνη. ε-
λισარი: ἐβαλῶν ἐξ ἑνὲν Περ-
σιδᾶ ἡγγέλλετο καὶ ἡ ἀμφὶ τῶ-
ν Νίσιβιν ξυμβολῆ, φρουρίῳ τε
τῶν Σισαυράνων ἡ ἀλᾶσι, κα:

II 18. ამასობაში ველისარი და-
რომიელთა ჯარი, რომელთაც არა-
ფერი გაუგიათ, რაც აქ (ი. ი. კირ-
ხირაში) ხდებოდა, სრულის სიმწ-
ყობრით გამომეშართენ ქალაქ და-
რადან ნისიბინისკენ.

II 19. ხოსროს პეტრას აღების-
შემდეგ ეცნობა ველისარის შექრა-
სპარსეთის ქვეყანაში, ქალაქ ნისი-
ბინთან მომადარი ამბები, სისაე-
რანონის სიმაგრის აღება და რაც:

ლია ძნელია იმ ცნობის გარკვევა, სადაც ბოას წყალზე და ფაზისზეა ლაპარაკი, ვინაიდან პროკოპი კესარიელი ხშირად ერთმანერთში ურევს ამ მდინარეთა სახელ-
წოდებებს, მაგრამ უკანასკნელი შენიშვნა (BP II 29, 22), ბოას (ჩვენის ახრით ქო-
როხის) მოხსენებასთან დაკავშირებით, გვაფიქრებინებს, რომ პეტრა მდებარეობდა
ბიზანტიის საზღვართან ახლოს, ისე რომ პეტრასა და ბიზანტიას შუა სხვა ღირს-
შესანიშნავი და ცნობილი ადგილი არ უნდა ყოფილიყო. მის სამხრეთით, ერთი
დღის სავალ მანძილზე, ყოფილა აფსარტე (აფსარუნტი), «ძველად მრავალმცხოვრე-
ბიანი» ქალაქი, რომელსაც «გარშემო უფლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო
თეატრითა და იპოდრომით», ხოლო პროკოპის დროს მის ნაშენობათა საძირ-
კვლები და ყოფილა დარჩენილი (BG IV, 2).

ასე რომ პეტრა ეხლანდელი ბათომის მახლობლად უნდა ვეძებოთ, ზღვის-
ნაპირას. ასეთ ადგილებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გონიოს ციხე (ბათომის
სამხრეთით) ან ციხისძირი (ბათომის ჩრდილოეთით). საბოლოოდ საკითხს
გადასწყვეტს ზედმიწევნით არქეოლოგიური ძიება ადგილობრივ, ჩვენ გვინდა აქ
მხოლოდ მრუთითათ შემდეგ ორ გარემოებაზე:

1) სახელწოდება «პეტრა» უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც ადგილობრი-
ვი სახელის ბერძნულ თარგმანს (ისევ როგორც «არქეოპოლის» = ნოქალაქებს, «რო-
დოპოლის» = გარდციხეს, «პიპოს» = ცხენისწყალს და სხვ.) და ვინაიდან ჩვენი
გეოგრაფიული სახელებიდან ბევრია წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის ფორ-
მით (რკონი, ქვები და სხვ.), საფიქრებელია, რომ აქაც გვქონდეს მრავლობითი
რიცხვის ფორმა, მით უმეტეს რომ, როგორც ზენათ (გვ. 47—48) ნოყვანილი
შენიშვნიდან ჩანს, ხელნაწერები იძლევიან ფორმას ἑν πᾶσι, რომელიც XVII
საუკუნის გამომცემელს შეუცვლია. რომ პეტრა ადგილობრივი სახელი იყო, ეს
მტკიცდება აგრეთვე იუსტინიანეს ერთი, 535 წლით დათარიღებული ნოველით,
სადაც ნათქვამია: «...შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა-
(ἡ Πητραίων [Var. Πητραίων]) ἑν πᾶσι»; ჩვენ მიერ იწოდა ის ქალაქად

ὅσα Ἰβήρων παταμόν διαβάν τὸ ξὺν
τῷ Ἀρέθῃ σπράττευμα ἔπρασσεν.
αὐτίκῃ τε φυλακὴν ἐν τῇ Πέτρῃ
καταστησάμενος ξὺν τῷ ἄλλῳ
στρατῷ καὶ Ῥωμαίων τοῖς ἀλοῦ-
σιν ἐς τὰ Περσῶν ἤθη ἀπῆλκυ-
νε. ταῦτα μὲν ἐν τῇ δευτέρῃ Χο-
ροροῦ ἐβ. λ. ἡ. ξυνηγέθη γενέσ-
θαι. Βελισάριος δὲ βασιλεὺς ἐς
Βυζάντιον μετὰ πεμπτικῶν ἐλθὼν
διεγείμαζεν (Haury I 238).

ჩიიღინა არეთასთან ერთად ჯარმა-
მდინარე ტიგრის გადასვლის შემ-
დეგ. მან მაშინვე ჩააყენა მცველე-
ბი პეტრაში და დანარჩენი ჯარი-
თა და დატყვევებული რომაელები-
თურთ გაემართა სპარსთა ქვეყა-
ნაში. ეს მოხდა ხოსროს მეორე
შემოჭრის დროს. ველისარი მეფის
მიერ ბიზანტიონში იქნა გამოწვეუ-
ლი და იქ დაიზამთრა.

დვინი და იბერთა ალებ-მიცემობა.

Ἔστι δὲ τὸ Δούβιος γῶρα τις II 25. დუვი ისეთი ქვეყანაა,
τὰ τε ἄλλα ἀγαθὴ καὶ ἀέρων τε რომელსაც ქარბად აქვს ყოველ-

და ჩვენი კეთილშობილების სახელის მიხედვით მას იუსტინიანე დაერქვა» (Nov. XXVIII=XXXI ed. Zachariae a Lingenthal I p. 192).

2) ჩვენი პეტრას ძიება უნდა დაუკავშირდეს იმ „პეტრას“ საკითხს, სადაც
ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრა იყო. ლაზიკის ეპარქიაში ხომ ბერძნუ-
ლი წყაროები იხსენიებენ ოთხს ეპისკოპოსს (Georgius Cyprius, ed. Gelzer, p. 24):

ὁ Ῥοδ π λεως, ὁ τῆς Ἀβισηγῶν, ὁ Πετρῶν, ὁ τῆς Ζυγαίως

(აქაც ქალაქის სახელი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მიცემული).

მართალია, პროკოპის ჩვენების წაკითხვით შეიძლება მკითხველს ერთბა-
შად ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ქალაქი პეტრა იუსტინიანეს გაუმე-
ნებოს, მაგრამ საკმარისია გულდასმით ჩაუკვირდეთ პროკოპის ტექსტს, რომ
დავრწმუნდეთ, რომ იუსტინიანეს უკვე არსებული დასახლებული ერთეული უნდა
გაემაგრებინოს, ციხე-სიმაგრედ ექციოს. რომ პეტრა, იოანე ციხეს იქ მისვლამდე
უკვე დასახლებული ერთეული და გარკვეული სავაჭრო ცენტრი არ ყოფილიყო,
ის ასე უცებ არ გადაიქცეოდა ვაჭრობის მონოპოლიის ლაზეთში გამტარებელი
ხელისუფლის რეზიდენციად. ჩანს, პეტრა ამ კუთხის მნიშვნელოვან, ეკონომიურ
ცენტრს წარმოადგენდა, რის საშუალებითაც ლაზები აწარმოებდნენ იმ თავის სა-
ვაჭრო ოპერაციებს, რომელზედაც პროკოპი ლაპარაკობს (BP II 15; II, 28). და
ამ მნიშვნელოვანი სახლვაო პუნქტისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული სპარსეთის
მისწრაფებანიც, რომლის მთავარ ინტერესს ბიზანტიასთან ბრძოლაში ლაზეთის
გამო უთუოდ სახლვაო კარის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. ტყვილა ხომ არ ეუ-
ბნებოან ლაზები ხოსროს: «ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით;
აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბი-
ზანტიონის პალატს მიადწიო»-ო (იხ. ზემოთ გვ. 52).

[ლაზეთის ქალაქების საკითხისათვის საგულისხმოა აკად. თ. უსპენსკის
წერილი „Старинная крепость на устье Чороха“. Изв. Ак. Наук. 1917
№ 2 163—169].

καὶ ἑδῶτων εὐεξίαν διαρκῶς ἔχουσα, Θεοδοσιουπόλεως δὲ ἐδῶ ἡμερῶν ὀκτὼ διέχει. καὶ πεδία μὲν ἐνταῦθα ἐπιπλάτῃ ἐστι, κῶμαι δὲ πολλαὶ πόλυσανθραπώταται φηκῆνται ἀγχιστάτω ἀλλήλαις καὶ πολλοὶ ἔμποροι κατ' ἐργασίαν ἐν ταῦταις οἰκοῦσιν. ἔκ τε γὰρ Ἰνδῶν καὶ τῶν πλησιοχώρων Ἰβήρων πάντων τε ὡς εἰπεῖν τῶν ἐν Πέρσαις ἐθνῶν καὶ Ῥωμαίων τινῶν τὰ φορτία ἐσκομιζόμενοι ἐνταῦθα ἀλλήλοις ξυμβάλλουσι (Haury I 263—264).

გვარი სიკეთე, სალი ჰაერი და წყალიც; თეოდოსიუპოლს რვა დღის სავალი გზით არის დაშორებული. იქ არის მინდვრები ცხენსარბენი, მრავალი მჭიდროდ დასახლებული სოფელი გაშენებულია ერთმანერთის მახლობლად და მრავალი ვაჭარი ცხოვრობს იქ და იქიდან თავის საქმიანობას. იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელების იქიდან მოვიდნენ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანერთში ალებ-მიცემობას აწარმოებენ.

პერანი და მისი რაზმები.

[ფისონის სიმაგრის მახლობლად (მარტიროპოლის რაიონში) მდგომ რომაულ ჯარში მოღვაწეთა შორის დასახელებულია პერანი.]

Ἰουστός τε ὁ βασιλέως ἀνεψιός καὶ Περάνιος καὶ Ἰωάννης ἑ Νικίτου παῖς. ἔξ τε Δομνεντιόλυ καὶ Ἰωάννη τῷ Φαγᾶ τὴν ἐπικλησίαν ἐστρατιπεδεύσαντο πρὸς τῷ Φισῶν καλουμένῳ φρουρίῳ, ὅπερ ἀγχιστά πη τῶν Μαρτυροπόλεως ἐρίων ἐστίν (Haury I 262).

II 24. იუსტე, მეფის ძმისწული, და პერანი და ნიკეტას შვილი იოანე დომენტიოლითურთ და ფაგას მეტსახელით ცნობილი იოანეთურთ დაბანაკდნენ ეგრეთწოდებულ ფისონის სიმაგრის მახლობლად, რომელიც მარტიროპოლის საზღვრების მახლობლად არის.

[24. თავში მთხსენებული პერანი დანარჩენ რომაელებთან ერთად იბრძოდა ანკლონთან (543 წელს). ამ ბრძოლაში რომაელები დამარცხდნენ და უკან დახევა დაიწყეს.]

οἱ τε ἀμφὶ τὸν Ἰουστον καὶ Περάνιον ἐσβαλόντες ἐς τὰ ἐπὶ Ταρασῶν χωρία καὶ ὀλίγα ἄττα ληιστάμενοι εὐθύς ἐπαγγλίσθη (Haury I 268).

II 25. იუსტესა და პერანის რაზმები შეიჭრენ ტარავონთან მდებარე სოფლებში და ზოგიერთი მათგანის დარბევის შემდეგ მაშინვე უკან გამობრუნდნენ.

[იგივე პერანი ბიზანტიელთა ჯარში იმყოფებოდა 544 წელს ედესაში, სადაც სპარსელებს უკვე ალყა ჰქონდათ შემორტყმული და ხელოვნურ ბორცვს აშენებდნენ.]

Πέτρος δὲ ὁ Ῥωμαίων στρατηγὸς (ἐνταῦθα γὰρ ἔξιν Ματινῶν καὶ Περσῶν ἐτήγγανεν ὦν) τοὺς ταῦτα ἐργαζομένους ἀποστέλλειν ἐπέλεον Οὐγγῶν τῶν οὐκ ἐπομένων τινὰς ἐπὶ αὐτῶν ἐπέμψεν (Haury I 272).

[ედესიდან ბიზანტიელებმა ცნობილი ექიმი გააგზავნეს ხოსროსთან მოსალაპარაკებლად].

Χοσρόης δὲ οὐ πρότερον ἀπαλλαγίσεισθαι ἠμολογεῖ ἐνθ' ἑνὸς, εἰ μὴ Πέτρον τε καὶ Περσῶν αὐτῶν παραδῶεν Ῥωμαῖοι, οὐ δὴ οὐ, δοῦλοι γέ ὄντες πατρῷοι, τετολμήρασιν ἀντιτάξασθαι. τούτοις δὲ ἦν μὴ θραῦν Ῥωμαῖς ἐν ἰδογῆ ἔστιν, ἀλλὰ δυσὸν αὐτοὺς ἐπάναγκας ἐλέσθαι τὸ ἕτερον ἢ πετακόσια κεντηνάρια χρυσῶν σφίσι δεδόναι, ἢ δέξασθαι τῆς πέντε τῶν οὐκ ἐπιτηδεῶν τινὰς, οὐ τὰ χρήματα διερευνησάμενοι. ἀπαντα τὸν μὲν χρυσὸν τε καὶ ἀργύρον, ὅσον δὴ ἐνταῦθα ἔσμεν εἶναι, καμίζοντες ἐς αὐτὸν ἵξομεν, τῆλλα δὲ τὸν κίρῶν ἐάσομεν ἔχειν (Haury I 274).

[უკანასკნელი დამარცხება ედესასთან სპარსელებმა განიცადეს პრინციპად: როდესაც სპარსელებმა გარეთა ანუ წინა კედელი (περιτείχισμα) აიღეს და დიდ კედელთან შებრძოლებს ეძებდნენ]

αὐτοῖς Περσῶν ἔξιν τε στρατιῶναις καὶ τῶν Ἐδουσιῶν τῶν ἐπέλεον μάχῃ τε νικήσας ἐξήλασας (Haury I 281).

II 26. რომელითა სტრატეგოსმა პეტრემ (ის აქ იმყოფებოდა მარტინესთან და პერანისთან ერთად) გადაწყვიტა მომუშავეთა (სპარსიერთა) შეფერხება და გააგზავნა მათ წინაღმდეგ ზოგიერთი მისი ხელქვეითი ჰუნნი.

ცნობილი ექიმი გააგზავნეს ხოსროსთან.

II 26. მაგრამ ხოსრო არ დანახდა იქიდან წასულიყო მანამდე, სანამ რომაელები მას არ გადასცემდნენ პეტრესა და პერანის, რომლებიც—ამბობდა ის—მისი მამაპაპეული მონები იყვნენ და გაბედეს მის წინააღმდეგ მოქმედება. ხოლო თუ რომაელებს ამის ასრულება არ სურთ, აუცილებელია მათ ორში ერთი აირჩიონ: ან მისცენ ხუთასი კენდინარი ოქრო, ან მიიღონ ქალაქში ზოგიერთი მისი კაცები, რომლებიც გამოჩხრეკენ მთელ ოქროსა და ვერცხლს, რაც კი იქ აღმოჩნდება, და მკლ მოუტანენ, ხოლო დანარჩენ რამეებს პატრონებს დაუტოვებენ.

II 27. პერანი მრავალი ჯარისკაცითურთ და ზოგიერთი ედესელითურთ გამოვიდა ბრძოლით, გაიმარჯვა კიდევაც და განდევნა მტერი.

[544 წელს ედესასთან ბრძოლა ბიზანტიელებსა და სპაოსელებს შორის დამთავრდა იმით, რომ სპარსელებმა ედესელებისაკენ ხუთი კენუინარი მიიღეს და შინ გაბრუნდნენ].

ხუთწლიანი დროებითი ზავი (545 წ.).

Ἐπὸ τὸν χρόνον τῆσιν Ῥωμαίων τελευτήκασι στρατηγοὶ δύο, Ἰουστός τε ὁ βασιλεύς. ἀνεβίβη καὶ Περσῶν ὁ Ἰβηρ, Ἰουστός μὲν νόσῳ διαφθάρει, Περσὶ δὲ συνέβη ἐν κωνηγεσίῳ τῆς Ἰππου ἐκπεπτωκῶτι διαρραγῆναι. διὸ δὴ ἀντ' αὐτῶν βασιλεὺς ἐτέρους καταστραφένους ἐπέμψεν Μάρκελλον τε, τὸν ἀδελφίδου, τὸν αὐτοῦ ἄρτι γενειάσκοντα, καὶ Κωνσταντιανόν, ὃς δὴ ὀλίγω πρότερον ἅμα Σεργίῳ παρὰ Χοσρόην πρεσβέων ἐστάλη. ἔπειτα δὲ Ἰουστινιανὸς βασιλεὺς πρέσβεις παρὰ Χοσρόην ἐπὶ τῇ ξυμβάσει Κωνσταντιανόν τε καὶ Σέργιον ἐπέμψεν. εἰ δὲ αὐτὸν καταλαμβάνουσιν ἐν Ἀσσυρίαις... ἐνταῦθα ἐντυχόντες Χοσρόην οἱ πρέσβεις ἠξίουσιν μὲν τὰ ἐπὶ τῆς Λαζიკῆς χωρῶν Ῥωμαίους ἀποδοῦναι, βεβαίωτατα δὲ πρὸς αὐτοὺς τὰ ἄμφω τῇ εἰρήνῃ κρατῆσθαι. Χοσρόης δὲ οὐ βόδυν αὐτοὺς ἔφασκεν εἶναι ἀλλήλους ξυμβῆναι, ἢ γὰρ μὴ τινα ἔχε χειρῖαν ὑμῶν πρότερον οὕτω τε ἀδέεστε οὐ αἰεὶ¹ ἐξ ἀλλήλους φοιτῶντες τὰ τε διάφορα διελθοῦσιν καὶ τὰ τῆς εἰρήνης ἐν τῷ ἀσφαλεῖ τὸ λοιπὸν μῆσονται, χρεῖται. δὲ ὑπὲρ τῆς αἰεὶ² ἔχε χειρῶν

II 28. ამ დროის მახლობლად გარდაიცვალა რომაელთა ორი სტრატეგოსი: იუსტე მეფის ძმისწული, და პერსანი იბერიელი; იუსტე გარდაიცვალა ავადმყოფობისაგან, ხოლო პერსანი წადირობის დროს ცხენიდან გადმოვარდა და სული აღარ აჰყოლია. ამიტომ მეფემ მათ ნაცვლად სხვები დანიშნა: სახელდობრ, მან გაგზავნა მარკელე, თავისი დისწული, რომელსაც ის იყო წვერი ამოდიოდა, და კონსტანტინე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სერგისტან ერთად ხოსროსთან იყო ელჩად გაგზავნილი. ხოლო შემდეგ იუსტინიანე მეფემ ხოსროსთან გააგზავნა ზავის შესაკრავად კონსტანტინე და სერგი. იმათ ის ასურასტანში ნახეს..... ელჩები მოითხოვდნენ, რომ რომაელებს დაბრუნებოდა ლაზიკის სოფლები და შეკრული ყოფილიყო მათთან მტკიცე ზავი. ხოსრომ უთხრა, რომ მათ შორის შეთანხმება ადვილი არ არის, თუ ისინი წინასწარ ერთგვარ დროებითს ზავს არ დასდებენ და, როდესაც ამნაირად უფრო უზრუნველყოფილი იქნება მათ შორის მუდმივი მისვლა-მოსვლა, გადასწყვეტენ სადავო საკითხებს და შეჰკრავენ მტკიცე ზავს, ასეთი საზღვარი Herwerden: *Mnemosyne* XXXIV

¹) აიე არ არის H-ში. ²) აიე-ს (Haury III 392).

χρήματα τέ οἱ τὸν Ῥωμαίων ἀποκράτορα δοῦναι καὶ τινα Τριβούνην ὄνομα ἱατρὸν πέμψαι, ἐφ' ᾧ οἱ ξυγδιατρίβει τακτὸν τινα χρόνον. ἐτύχχανε γάρ ὁ ἱατρὸς οὗτος νόσου τε αὐτὸν ἀπαλλάξας χαλεπῆς πρότερον καὶ ἀπ' αὐτοῦ φίλος τε καὶ ποθεινὸς ἐς τὰ μάλιστα ὢν. ταῦτα ἐπεὶ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς ἤκουσε, τὸν τε Τριβούνην καὶ τὰ χρήματα εὐθύς ἐπέμψε. ξυνίεντα ἐς κεντηνάρια εἴκοσιν. οὕτω τε αἰσπονδῶν γέγονασι Ῥωμαίοις τε καὶ Πέρσαις ἐξ ἑναυτεὺς πέντε, δέκατὸν τε καὶ ἑνατον ἕτως Ἰουστινιανοῦ βασιλείᾳ τὴν αὐτοκράτορα ἀρχὴν ἔχοντος.

1. Χοσρόης δὲ, ὁ Περσῶν βασιλεὺς, ἐνδῆλος γέγονε τὴν ἐκχειρίαν ἢ δολερῶ πρὸς Ῥωμαίους πεπονημένος, ἐφ' ᾧ δὴ αὐτοὺς διὰ τὴν εἰρήνην ἀναπεπτωκότας λαβῶν ἀνικεστόν τι ἐργάζεται. τρίτῳ γὰρ τῆς ἐκχειρίας ἑναυτῶ μηχανάται τοιαῦτα: ἦσθη ἑν Πέρσαις ἀδελφοὶ δύο, Φάβριζὸς τε καὶ Ἰοδιγοῦσνας, ἀρχὰς μὲν περιβεβλημένῳ ἐνταῦθα μεγίστας καὶ ἄλλως λογισμῶ πονηροτάτω Περσῶν ἀπάντων καὶ δόξαν ἐπὶ τῆ δεινότητι καὶ κακοτροπίᾳ πολλὴν ἔχοντε. βουλευσάμενος οὖν πόλιν Δάρσας καταλαβεῖν ἐξ ἐπιδρομῆς καὶ Δαξικῆς ἐξοικίσει Κόλχους ἀπικτας, Πέρσας δὲ ἀντ' αὐτῶν εἰρήνην καταστήσασθαι τῷ ἀνδρὶ τούτῳ ἐς ἄμφω τὰ ἔργα ὑπη-

ხანდაზმული ღროებითი ზავისათვის საჭირო იყო რომაელთა თვითმპყრობელს მიეცა მისთვის ფული და გაეგზავნა ერთი ექიმი, სახელად ტრიბუნე, იმ მიზნით რომ ამას გარკვეული ხანი გაეტარებინა მასთან. ამ ექიმს, თურმე, მძიმე ავადმყოფობისაგან მოურჩენია წინათ; მისთვის ის ამიტომ ძვირფასი და განსაკუთრებით სასურველი იყო. როდესაც იუსტინიანე მეფემ ეს მოისმინა, მაშინვე გაუგზავნა მას ტრიბუნეც და ფულიც, ოცი კენდინარის რაოდენობით. ასე შეიკრა რომაელებსა და სპარსელებს შორის ზავი ხუთი წლით, მეცხრამეტე წელს იუსტინიანე მეფის თვითმპყრობელობისა

...ცხადი იყო, რომ ხოსრომ, სპარსთა მეფემ, ვერაგი განზრახვით შეკრა ღროებითი ზავი რომაელებთან, სახელდობრ იმ მიზნით, რომ ეხელთა ის ღრო, როდესაც ისინი ზავის წყალობით გულხელდაკრეფილნი იქნებოდნენ, და საშინელი რამ ჩაედინა. მესამე წელს ღროებითი ზავისა მან მოაწყო შემდეგი: იყო სპარსეთში ორი ძმა, ფაბრიზი და ისდიგუსნა, რომელთაც იქ დიდი ძალაუფლება ეპყრათ და ყველა სპარსელზე უფრო ვერაგნი იყვნენ და სახელი ჰქონდათ გავარდნილი მოუხეშავობისა და ცუდზნეობისათვის. რადგან მან (ი. ი. ხოსრომ) გადასწყვიტა ქალაქი დარს აელო მოულოდნელად და ლახიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცულად სპარსელები.

ρετήσοντας εἶλετο· ἔρμαιον γὰρ καὶ
λόγου πολλοῦ θῆξεν ἐφαίνατο εἶναι.
γῆν τὴν Κολχίδα σφετερισαμένῳ
ἐν τῷ βεβαίῳ τῆς κτήσεως ἔχειν,
ξύμφορον λογιζαμένῳ τῇ Περσῶν
ἀρχῇ κατὰ πολλὰ ἔσεσθαι τοῦτό
γε. τὴν τε γὰρ Ἰβηρίαν ἐν τῷ
ἀσφαλεῖ ἕξ τὸ ἔπειτα ἔξειν, οὐκ
ἂν ἔτι ἐχόντων Ἰβήρων ἐφ' οὐ-
πεντας ἀνθρώπων ἀποστάντες σαυή-
σονται· ἐπειδὴ γὰρ οἱ τούτων δὴ

დაესახლებინა, ეს ორი კაცი აბრ-
ჩია ამ ორივე საქმის მომგვარებლე-
ბად. მას ხომ ღირსშესანიშნავ მო-
პოვებად მიაჩნდა კოლხიდის ქვე-
ყანა ჰქონოდა მტკიცე საკუთრე-
ბად მითვისებული, რადგან, მისი
აზრით, სპარსეთის ძალაუფლებას
ეს დიდს სარგებლობას მოუტანდა¹;
იბერიაც ხომ მომავალში უშიშ-
რად ეპყროდა, რადგან იბერებს
ალარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვის-

1) ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ სპარსეთის მთავარი ყურადღება ბი-
ზანტიელებთან ომის დროს სწორედ ლაზეთის ფრონტს ჰქონდა მიქცეული. რო-
დესაც ხოსრომ ბიზანტიელებს საბოლოო ზავზე უარი უთხრა (იხ. ზემოთ გვ-
ნს), მისი განზრახვა ნათელი იყო. როგორც დასაყრდენი პუნქტი მომავალი იერი-
შებისათვის ბიზანტიის წინააღმდეგ, მას ესაჭიროებოდა ლაზეთი და არა დარა ან
ედესა. ლაზეთის გზით ის 1) გადიოდა ზღვაზე, სადაც მნიშვნელოვანი სავაჭრო
პუნქტი — პეტრა — მდებარეობდა; 2) ადვილად აწყობდა იერიშებს ბიზანტიის პრო-
ვინციების — კაპადოკიის, გალატიისა და ბითინიის — წინააღმდეგ, საიდანაც ბიზან-
ტიას შედიოდა დიდძალი ნედლეული; 3) უზრუნველყოფდა სპარსეთს ლაზეთის
ჩრდილოეთიდან მომავალი ჰუნებისაგან და 4) განამტკიცებდა სპარსეთის ძალა-
უფლებას იბერიაში, რომელიც 532 წელში დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ
მუდამ მზად იყო აჯანყებულიყო (რაც კიდევაც მოხდა 572 წელს: Theoph.
Byz. frg. 3, Hist. Gr. Min. ed. Dindorfii I 448). ამიტომ სპარსეთი ორ საქმეს
ისახავდა მიზნად: 1) გაეჩინა ფლოტი შავ ზღვაზე — ამის საბუთია პროკოპის სი-
ტყვები (BP II, 29); ხოსრომ «გაგზავნა ლაზიკეში აუარებელი ხე-ტყე, რომელიც
ხომალდების გასაკეთებლად იყო გამოსადეგი, მაგრამ არავის გაუმხილა, თუ რის-
თვის გაგზავნა ისინი, არამედ თქვა, ისინი გავგზავნე პეტრას კედლებზე მანქანების
დასადგმელად»; 2) გაექძიერებინა სპარსული და საზოგადოდ უცხო ელემენტები
ლაზეთის ტერიტორიაზე, ვინაიდან ლაზებზე დანდობა, ცხადია, ვერ გამოდგებოდა
საწინდრად სპარსეთის ამ რთული მიზნების განხორციელებისა.

ვინაიდან სპარსეთს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ბიზანტიის
დამარცხება სწორედ იმ წერტილში უნდა მომხდარიყო, სადაც იკვანძებოდა ბიზან-
ტიის სავაჭრო პოლიტიკის ძაფები, და გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე ისიც,
რომ საჭირო იყო ბიზანტიისათვის გამოეცლია ის ტერიტორია, სადაც ბიზანტია
ფიქრობდა ახალი გზების გაჩენას საგარეო ვაჭრობისათვის, რითაც ის თავს დააღ-
წევდა სპარსეთის შუამავლობას აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში, — ამიტომ,
ცხადია, სპარსეთი მხოლოდ დროებით ზავს (5 წლით) თანხმდებოდა, რომ ამ ხნის
განმავლობაში მოემზადებინა ნიადაგი თავისი მიზნების მიღწევის გასაადვილებლად.
როგორც შემდეგ თავებში პროკოპის მიერ მონათხრობი გვარწმუნებს, სპარსე-
თი თავის დასავლეთ ფრონტზე სიწყნარეს იცავს (იცავს დროებითი ზავის პირო-
ბას), ხოლო ჩრდილოეთით (ლაზიკეში) ის ფართე გვემებს შლის.

λογιμώτατοι τῶν βαρβάρων ἑμοῦ
 Γευργένῃ τῇ βασιλεῖ ἐς ἀπόστα-
 σιν εἶδον, ὥσπερ μοι ἐν τοῖς ἔμ-
 προσθε λόγοις ἐρρήθη, εὔτε βα-
 σιλέα σφίσι κατχστήσεσθαι τὸ ἐν-
 θένδε ξυνεχώρουν Πέρσαι εὔτε
 αὐτογνωμονοῦντες Περσῶν κατή-
 κοι: Ἰβηρες ἦσαν, ἀλλ' ὑποψία
 τε καὶ ἀπιστία ἐς ἀλλήλους πολλῆ
 ἔχοντο. ἔνδηλοί τε Ἰβηρες ἦσαν
 δυσανασχετοῦντές τε ἰσχυρότατα
 καὶ νεωτερισῶντες οὐ πολλῶ ὑσ-
 τερον, ἦν τινός ποτε καιροῦ λαβέσ-
 θαι δυνατοὶ εἶεν. καὶ πρὸς Οὐγγων
 τῶν Λαζικῆ προσείκων ἀδήματον
 μὲν τὴν Περσῶν ἀρχὴν ἐς ἀεὶ
 ἔσεσθαι, ῥᾶρον δὲ καὶ ἀπρονώτερον
 αὐτοὺς τῇ Ῥωμαίων ἀρχῇ ἐπι-
 πέμψειν, ἠνίκα ἂν αὐτῶ βυλα-
 μένην εἶη. οὐ γὰρ ἄλλο οὐδὲν τις
 ἐν Καυκάσῳ ἀκούσι βαρβάρους ἢ
 ἐπιτείχισμα Λαζικῆν εἶναι. μά-
 λιστα δὲ πάντων κατὰ τοῦτο ξυ-
 κρίσειν πρὸς Λαζικῆς ἐπικρατίην
 ἠλπίζε Πέρσαις, ἔτι δὲ ἐξ ἀν-
 τῆς ἐρμώμενοι δυνήσονται οὐδενὶ
 πόνῳ καταθέσντες καὶ περὶ καὶ
 ναοὶ τὰ ἐπὶ τῷ Εὐξείνου καλυσ-
 μένῳ πόντου χωρία Καππαδόκας
 μὲν καὶ τῶς αὐτῶν ἐχόμενους
 Γαλάτας καὶ Βιθυνοὺς παραστή-
 σεσθαι, ἐξ ἐπιθρομῆς δὲ Βυζαν-
 τίους αἰρήσειν, οὐδενὸς σφίσι ἀν-
 τιστατῶντας. τούτων μὲν δὲ ἐνε-
 κη προσπειθεσθαι Χοσρόης Λαζι-
 κῆν ἠθέλεν, ἐπὶ Λαζίαις δὲ τὸ

თანაც ისინი, განდგომის შემთხვე-
 ვაში, თავს გაღაირჩენდენ. მის
 შემდეგ რაც ამ ბარბაროსთა ღი-
 დებულნი გურგენ მეფესთან ერთად
 განდგომას იზრახავდენ, როგორც
 ეს ჩემ მიერ წინა მოთხრობებშია
 ნაამბობი¹, იმ დროიდან არც სპარ-
 სელები აძლევდენ ნებას მათ მეფე
 ჰყოლოდათ, არც იბერები ემორ-
 ჩილებოდენ სპარსელებს თავისი
 ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და
 უნდობლობით ეპყრობოდენ ერთ-
 მანერთს. ცხადი იყო, რომ იბერებს
 ძალიან უჭირდათ ასეთ მგგომანი-
 რებაში ყოფნა და ახლო მომავალში
 განზრახული ჰქონდათ აჯანყება,
 თუ კი შესძლებდენ ოდესმე მესა-
 თიერი დრო ეხელთათ. აგრეთვე ლა-
 ზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნე-
 ბისაგანაც სპარსელთა სახელმწი-
 ფო სამუდამოდ დაუბრვეელი იქნე-
 ბოდა, ხოლო გაცილებით უფრო
 ადვილად მიუხედა იმათ რომაელ-
 თა სახელმწიფოს, როცა კი ეს მის-
 თვის სასურველი იქნებოდა: კავ-
 კასში მოსახლე ბარბაროსთათვის
 ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღ-
 მდეგო ტიხრი. ყველაზე უფრო-კი,
 მას იმედი ჰქონდა, ლაზიკის მხრით
 გაძლიერება სპარსელებისთვის
 იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ
 იქიდან შეტევით ისინი ადვილად
 შესძლებდენ თავს დასხმოდენ,
 ხმელეთითაც და ზღვითაც, აგრეთ-
 წოდებულ ევქსინის პონტზე მდე-
 ბარე სოფლებს, დაემორჩილებინათ

1) იხ. ზემოთ გვ. 22-24.

θαρσεῖν ἤμισα εἶχεν. ἐπειδὴ γὰρ
 Ῥωμαῖοι ἐκ τῆς Λαζიკῆς ἀνεχώρη-
 σαν, Λαζῶν τὸ πλῆθος τῇ Περ-
 σῶν ἀρχῇ ἐπεικῶς ἤχθето. μο-
 νότροποι γάρ, εἴπερ ἄλλοι τινές,
 οἱ Πέρσαι εἰσὶ καὶ τὰ ἐς τὴν δαι-
 ταν ὑπεράγαν σκληροί. καὶ αὐ-
 τοῖς οἷ τε νόμοι δυσπρόσοδοί εἰσι
 πρὸς πάντων ἀνθρώπων καὶ τὰ
 ἐπιτάγματα οὐδαμῇ ἀνεκτά. πρὸς
 μέντοι Λαζοὺς καὶ διαφερόντως τὸ
 διαλλάσσειν τῆς τε γνώμης ἀεὶ
 καὶ τῆς διαίτης παρὰ πολὺ δια-
 φαίνεται, ἐπεὶ Λαζοὶ μὲν Χρισ-
 τIANOὶ εἰσι πάντων μάλιστα, Πέρ-
 σαις δὲ ἀπ' ἐναντίας αὐτῶν τὰ
 ἐς τὸ θείον ἅπαντα ἔχει. χωρὶς
 δὲ τούτων ἄλλες μὲν τῆς Λαζიკῆς
 οὐδαμῇ γίνονται, οὐ μὴν οὔτε σίτος
 οὔτε εἶνος οὔτε τι ἄλλο ἀγαθὸν φέ-
 ται. ἐκ δὲ Ῥωμιῶν τῶν παρα-
 λίων ἅπαντα ταῖς ναυσὶν ἐπεισέρ-
 χεται σφίσι, καὶ ταῦτα οὐ χρ-σίον
 ταῖς συμβάλλουσι προϊεμένοις,
 ἀλλὰ δέρρεις τε καὶ ἀνδράποδα
 καὶ εἴ τι ἄλλο ἐνταῦθα κατὰ
 πολὺ περιεῖναι ξυμβαίνει· τούτου
 τε, ὡς τὸ εἰκόσ, ἀποκεκλεισμένοι
 τὸ λοιπὸν ἠσχαλλον. ὧν δὴ ὁ
 Χροσρόης αἰσθόμενος προτερῆσαι
 ξὺν τῷ ἀσφαλεῖ, πρὶν τι ἐς αὐτὸν
 νεωτερίσειαν, ἐν σπουδῇ εἶχε. καὶ

კაპადოკიელები, მათი მოსასაზღ-
 ვრე გალატელები და ბითინელები,
 და მოულოდნელად დაეპყროთ ბი-
 ზანტიელები, ისე რომ მათ არა-
 ვინ წინააღმდეგობას არ გაუწევ-
 და. ამიტომ უნდოდა ხოსროს ლა-
 ზიკის შემოერთება, ხოლო ლაზე-
 ბისადმი ნდობა მას ძალიან ნაკლე-
 ბად ჰქონდა. ვინაიდან, როდესაც
 რომაელები ლაზიკიდან წავიდნენ,
 ლაზთა უმეტესობა სპარსელების
 ხელისუფლების ქვეშ საგრძნობ-
 ლად შეწუხდა: სპარსელები სხვებ-
 ზე უფრო ერთფეროვანი ცხოვრე-
 ბის მოყვარულნი განმარტოებულ-
 ნი არიან და ცხოვრებაში ზო-
 მაზე მეტად მკაცრნი, და მათი კა-
 ნონებიც მიუწვდომელია ყველასა-
 თვის და მათი დადგენილებანი
 სრულებით მიუღებელი. ლაზების
 მიმართ მაინც, განსაკუთრებით
 ძლიერ იჩენს თავს განსხვავება
 მსოფლმხედველობისა და ცხოვრე-
 ბისა, რადგან ლაზები ქრისტიანენი
 არიან, ყველაზე უფრო მეტად,
 სპარსელებში-კი, პირიქით, ღმერ-
 თის კულტი-ყველაფერია. ამის
 გარდა ლაზიკეში არსად არ არის
 მარილი, არც ხორბლეული მოდის,
 არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე¹.
 ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნა-
 ვებით რომაელთა სანაპიროებიდან,

1) რომ მარილი და ხორბლეული ლაზებს არ მიუვალებოდათ, ამაზე პრო-
 კოპი ზემოთაც ლაპარაკობს (BP I 12; II 15; იხ. ზემოთ გვ.გვ. 25 და 46). აქ
 კი, ისევე როგორც BP II 15 (ზემოთ გვ. 46), ის დამატებით აღნიშნავს ზოგიერთ
 იმ საგანს, რომელიც ბიზანტიას გაჰქონდა ლაზეთიდან. ეს არის ტყავეულობა, რო-
 გორც ნედლი მსალა ბიზანტიის წარმოებისათვის, და მონები, როგორც მუშა-ხე-
 ლი იმავე წარმოებისათვის.

οἱ βουλευομένοι ξυμφορωτάτον
 ἔδοξεν εἶναι Γουβάρην τὸν Λαζῶν
 βασιλέα ἐκποδῶν ἐτι τᾶχιστα
 ποιησαμένῳ Λαζῶς ἐνθένδε παν-
 δημῆι ἀναστήσειν, οὕτω τε Πέρ-
 σας καὶ ἄλλα ἅπαντα ἔθνη ξυνοι-
 κισθῆν ἐν ταύτῃ τῇ χώρῃ (Hau-
 ry I 282—287).

და ამაში ისინი ფულს-კი არ აძ-
 ლევენ მიმწოდებლებს, არამედ ტყა-
 ვებს, მონებს და თუ სხვა რამ სი-
 ჭარბით აღმოაჩნდებათ, ცხადია, ეს
 რომ დაჰკარგეს, გამწარებული იყ-
 ვნენ. რადგან ხოსრომ ეს იცოდა,
 ის იმის ცდაში იყო, რომ, ვიდრე
 ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდებ-
 ბოდნენ, წინასწარ უზრუნველ ეყო თაჟისი მცემთარობა. და მას, ამის
 განმზრახველს, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ თა-
 ვიდან მოეცილებინა ლაზთა მეფე გუბაზი და ლაზები იქიდან სრუ-
 ლიად გადაესახლებინა და ამრიგად იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა
 სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც.

ბრძოლა პეტრას გარშემო¹

Ἐς τε Λαζικήν πρῶτα μὲν
 ξύλα παμπληθῆ ἐς νηῶν ποίησιν
 ἐπιτηδεύωσ ἔχοντα ἔπειψεν, ἑνθεν
 φράσας ἐπ' ὅτι δὴ αὐτὰ πέμψειεν,
 ἀλλὰ τῷ λόγῳ μηχανάσ ἐν Πέτ-
 ρας¹ τῇ περιβόλῳ καταστησόμενος
 ταῦτα ἔστειλεν. ἔπειτα δὲ Περ-
 σῶν μαχίμους τριακασίους ἀπλε-
 ξάμενας, Φάβριζον τε, ὁσπερ ἀρ-
 τίως ἐπεινήσθη, αὐτοῖς ἐπιστή-
 σας ἐνταῦθα στέλλει, ἥ δὲ ἐπήγ-
 γელε Γουβάζην ἕς λιθραιότατα
 διαχρήσασθαι τὸ γὰρ ἐνθὲνδε
 αὐτῷ μελήσειν. τὰ μὲν οὖν ξύλα
 ταῦτα ἐπεὶ ἐς Λαζικήν ἐκομισθῆ,
 κεραιόβλητα ἐξαιπυναίως γενό-
 μενα τετεφρωσθαι ξυνέβη. Φάβρι-
 ζος² δὲ ἔξ ὧν τῶς τριακασίους ἐς Λα-
 ζικήν ἀφικόμενος ἐπρασσεν ἕπως δὴ
 ἀμφὶ Γουβάζην τὰ πρὸς τοῦ Χοσ-
 ροῦ ἐπηγγελέμενα ὑπετελοίη. ἐτύχ-
 χανε δὲ τῶν τις ἐν Κόλχοις³ λο-

II 29. მან (ე. ი. ხოსრომ) ჯერ
 გაგზავნა ლაზიკეში აუარებელი ხე-
 ტყე, რომელიც ხომალდების გასა-
 კეთებლად იყო გამოსადგევი, და
 არავის გაუშხილა, თუ რისთვის გაგ-
 ზავნა ისინი, მაგრამ საფიქრებელი
 იყო, რომ ისინი გაგზავნა პეტრას
 კედელზე მანქანების დასადგმელად.
 ხოლო შემდეგ გამოარჩია სამასი
 მამაცი სპარსელი, მათ სათავეში
 დააყენა ფაბრიზი, რომელიც ახ-
 ლახან მოვიხსენიე, და გაგზავნა იქ.
 მასვე უბრძანა მოეკლა გუბაზი, რაც
 შეიძლება უფრო მაღულად: დანარ-
 ჩენზე კი ის თვითონ იბრუნავდა.
 როდესაც ის ხე-ტყე ლაზიკეში
 მოვიდა, უცებ მათ მეხი დაეცა და
 ფერფლად იქცა. ფაბრიზი სამასი-
 თურთ ლაზიკეში რომ მივიდა,
 დაიწყო მოქმედება, რათა აესრუ-
 ლებია, რაც მას ხოსროსგან ჰქონ-
 ლა ნაბრძანები გუბაზის შესახებ.

1) ამ თავში პროტობი კესარიელი განაგრძობს მოთხრობას პეტრას
 გარშემო წარმოებულ ბრძოლის შესახებ (იხ. ზემოთ გვ. გვ. 54—58). მის შემდეგ
 რაც სპარსელებმა გვირახის გაყვანის საშუალებით პეტრა აიღეს (გვ 57—58),
 იუსტიანე მეფემ დასახმარებლად შეიღი ათასი კაცი გააგზავნა პეტრას კედლებ-
 თან, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ხოსრომაც დიქდალი ჯარო მიაშველა მერმე-
 როეს სარდლობით. პეტრასთან ახალი ძალების კონცენტრაციის შესახებ მოთხ-
 რობასთან დაკავშირებით პროტობი ეხება იმ გზებს, რომლებიც განვლეს ჯა-
 რებმა, და იძლევა ცნობებს მდინარე ბოასის, ლახოა დასახლებული ადგილების—
 არქეოპოლისის, სებასტოპოლის, პიტინტის, სკანდეს, სარაპანის და სხვათა შესა-
 ხებ. ეს ცნობები ბევრგან არეულია, ერთიმეორეს არ ეთანხმება ან ჩვენს თანამე-
 დროვე საისტორიო მწერლობაში შემოწმებული არაა ჩვენს ქვემოთ თავთავის ად-
 გილას შევცდებით ცალკე გაეარკვიოთ თითოეული ეს ცნობა.

2) Πέτραις] Πέτραίς G. — 3) Κολχοίς VG. —

γίμων, Φαρσάνης ὄνομα, τῷ Γουβάζῃ περισκερουκῶς ἐς μέγα τέ οἱ ἀπ' αὐτοῦ ἐμπεπτωκῶς¹ ἔχθρος καὶ ὡς ἦμιστα θαρσῶν τῷ βασιλεῖ ἐς ὄψιν ἦκειν. Ἐπὲρ ἐπεὶ ὁ Φάβριζος² ἔγνω, τὸν Φαρσάνσην³ μεταπεμψάμενος ἐκοινολογεῖτο τε καὶ τὸν ἅπαντα λόγον ἐξενεγκῶν ἀνεπυθάνετο τοῦ ἀνθρώπου ἔπη οἱ ἐπιχειρητέα³ ἐς τὴν πράξιν εἶη. ἔδοξε τοῖσιν σφίσι ἐπὶ κοινῆς βουλευσαμένους Φάβριζον μὲν ἐν Πέτρᾳ τῇ πόλει γενέσθαι, μεταπέμψασθαι δὲ Γουβάζην ἐνταῦθα, ἕπως οἱ ἀγγέλλοι ἔσα δὴ βασιλεῖ ἀμφὶ τῷ ξυνοίσοντι Λαζοῖς δοκοῦντα εἶη. ἀλλ' ὁ Φαρσάνης κρύφα τῷ Γουβάζῃ ἐτήμηγε τὰ πρᾶσσόμενα. διὸ δὴ Γουβάζης παρὰ μὲν Φάβριζον οὐδαμῆ ἦλθεν, ἐκ δὲ τοῦ ἐμφανοῦς ἐς ἀπόστασιν εἶδε. Φάβριζος⁴ δὲ Πέρσαις μὲν τῆς ἄλλοις τοῦ ἐν Πέτρᾳ φυλακτερίου ἐπιμελεῖσθαι πάσῃ δυνάμει ἐπέστελλε καὶ τὰ ἐς πόλιორκίαν ὡς ἀσφαλέστατα ἐξαρτῆσθαι, αὐτὸς δὲ εὖν τοῖς τριακοσίσι ἐπ' οἴκου ἀπρακτος ἀνεχώρησε. Γουβάζης⁵ δὲ ἀνενεγκῶν ἐς Ἰουστινιανὸν βασιλέα τὰ πάντα σφίσι τῶν μὲν τὰ πρότερα πεπραγμένων Λαζοῖς ἐδειτο συγγνώμονα εἶναι, ἀμῦναι δὲ σφίσι δυνάμει τῇ πάσῃ ἀπαλλαξείουσι

აღმოჩნდა კოლხიდის მცხოვრებლებში ერთი დიდებულთაგანი, სახელად ფარსანსი, რომელსაც გუბაზისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია და მასთან ამის გამო დიდს შუღლში ჩავარდნილა და სრულიად ველარ ბეჯავდა მეფეს დანახვებოდა. როდესაც ფაბრიზმა ეს გაიგო, მან დაიბარა ფარსანსი და გამართა მოლაპარაკება: მან უამბო საქმის მთელი ვითარება და შეეკითხა მას, თუ როგორ უნდა შესდგომოდნ ის საქმეს. მათ ერთად ითათბირეს და დაადგინეს, რომ ფაბრიზი ქალაქ პეტრაში წასულიყო და იქ დაებარებია გუბაზი, ვითომც იმიტომ, რომ ეცნობებია მისთვის, თუ რა განზრახვები ჰქონდა მეფეს ლაზების საკეთილდღეოდ. მაგრამ ფარსანსიმ ჩუმად აცნობა ეს ამბავი გუბაზს. ამიტომ გუბაზი სრულიად არ მივიდა ფაბრიზთან და ცხადადაც განდგომა განზრახა. ფაბრიზმა უბრძანა დანარჩენ სპარსელებს პეტრას დაცვისათვის ეზრუნათ ყოველი ძალღონით და რაც შეიძლება მტკიცედ მომზადებულიყვნენ გარემოცვისათვის, თვითონ კი სამასი სპარსელითურთ უშედეგოდ დაბრუნდნენ. გუბაზმა აცნობა მდგომარეობა იუსტინიანე მეფეს და სთხოვა ეპატრებია ლაზებისათვის ის, რაც მათ წინათ ჩაიდინეს, და ყო-

¹) Φάβριζος GP.—²) Φαρσάσην VG.—³) ἐπιχειρητέα? (Haury III 392).—⁴) Φάβριζος P.—⁵) აქიდან დაწყებული კონსტანტინეს ექსცერპტებში (W) ასე ვკითხვლობთ: ὅτι Γουβάζης ὁ Λαζიკῆς βασιλεὺς πολέμοι μινος παρά Πέρσων ἀνήνεγκεν ἐς Ἰουστινιανὸν βασιλέα...

της Μήδων αρχής. ὁ δὲ γὰρ κατὰ
μόνας δυνήσεσθαι Κόλχους¹ ἀπο-
κροῦσασθαι τὴν Περσῶν δύναμιν.

Ταῦτα ἐπεὶ βρασιλεύς Ἰουστινι-
ανὸς ἤκουσε, περιχαρῆς γενόμενος
ἄνδρας ἐπιτακτικῶν καὶ Δαγισ-
θαίων ἀρχοντα καὶ Τζάνους χι-
λίους ἐς ἐπικουρίαν Λαζῶν ἐπε-
μφεν. οἱ δὲ ἐν γῆ τῇ Κολχίδι
γενόμενοι ἄμυ Λαζῶν τε καὶ τῷ
Γουβάζῃ ἐστρατοπεδευσάμενοι ἀμ-
φὶ τὸν Πέτρας περιβόλον ἐπιλιπ-
τικῶν καθίσταντο. Περσῶν δὲ ἐν-
ταῦθα ὄντων καρτερώτατα ἐκ τῶν
περιβόλου ἀμυνομένων, χρόνον τῇ
προσεδρεῖα πάλιν τετρίψθαι ζυγ-
έβη, ἐπεὶ καὶ τὰ ἐδώδιμα ἐνα-
ποθήμενοι σφίσι οἱ Πέρσαι διαρ-
κῶς ἔτυχον². τοῦτοις δὲ ὁ Χοσ-
ρόης ζυγτραχθεὶς στρατιᾶν πολ-
λὴν ἰππέων τε καὶ πεζῶν³ ἐπ’
αὐτοὺς ἔστειλεν, οἷς δὲ ἀρχοντα
Μερμερόην ἐπέστεισεν. ὥνπερ ὁ
Γουβάζης αἰσθόμενος τῷ Δαγι-
σθαίῳ ἐπίκουρα βουλευτάμενος
ἐποίει τάδε.

Βόας δὲ πεταμὸς ἔξεισιν ἄγχι-
στά πη τῶν Τζανικῶν⁴ ὄρων, ἐν
Ἀρμενίῳ⁵, οἱ δὲ ἄμφι τῷ Φαρά-
γγιον ᾤκηται. καὶ τὰ μὲν πρῶ-
τα ἐν δεξιᾷ ἐπὶ πλείστον χωρεῖ,
βραχὺς τε ἰὼν καὶ πόνω οὐδενί

ველი ღონით ხელი შეეწყო მათ-
თვის, რომ განთავისუფლებულიყ-
ვნენ მიდთა ძალაუფლებისაგან. კოლ-
ხები ხომ საკუთარი საშუალებე-
ბით ვერ შესძლებდნენ სპარსელ-
თა ძალა უკუეგდოთ.

როდესაც იუსტინიანე მეფემ ეს
მოისმინა, ძალიან ესიამოვნა და
გააგზავნა ლაზების დასახმარე-
ბლად შვილი ათასი კაცი, სარდა-
ლი დაგისტე და ათასი ჭანი. ესე-
ნი რომ კოლხიდაში მივიდნენ, ლა-
ზებთან და გუბაზთან ერთად და-
იბანაკეს პეტრას კედლებთან და
ალყა შემოარტყეს. რადგან იქ მყო-
ფი სპარსელები მამაცად იგერიებ-
დნენ მტერს კედლებიდან, დიდი
ღრო დასჭირდა გარემოცვას, ვი-
ნაიდან სპარსელებს კარგა ბლომად
მოემარაგებიათ თავიანთის სურ-
სათი, მაგრამ ამ საქმეებით შეშინე-
ბულმა ხოსრომ გაგზავნა მათ (ი. ი.
რომაიკიძის) წინააღმდეგ დიდძალი
ჯარი ცხენოსნებისა და ქვეით-
თა, რომელთა სარდლად მერმე-
როე დააყენა. ეს რომ გაიგო გუ-
ბაზმა, დაგიტესთან შეთანხმებით
ვალაწყვიტა შემდეგნაირად მო-
ქცეულიყო.

მდინარე ბოასი გამოდის სადღაც
ჭანეთის საზღვრების მახლობლად
არმენიელთა ადგილებში, რომლე-
ბიც ფარანგიონის მახლობლად ცხო-
ვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე
მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია

¹) Κολχούς VG.—²) ἔτυχον] εἶχον W.—³) ἰππέων τε καὶ πεζῶν
აკლია W-ს. ⁴) Τζανικῶν J.—⁵) Ἀρμενίῳ VG.

γινόμενος ἑσβατός ἅπασιν ἄχρι
 ἕς χώρον, οὗ δὴ ἐν δεξιᾷ μὲν
 Ἰβήρων τὰ ἕρια ἔστι, καταντικρὺ
 δὲ τελευτᾷ ὄρος ὁ Καίλασος. ἐν-
 ταῦθα ἔβη ἄλλα τε πολλὰ καὶ
 Ἄλανοί τε καὶ Ἀβασγοὶ ἕκχηνται
 Χριστιανῶν¹ τε καὶ Ῥωμαίων φί-
 λοιὶ ἐκ παλαιοῦ ὄντες, Ζήχρ² τε
 καὶ μετ' αὐτοὺς Οὐννοὶ, οἱ Σά-
 βειροι ἐπικαλοῦνται. ἐπειδὴν δὲ
 ὁ παταμὸς οὗτος ἀφίχεται ἵνα δὴ
 τοῦ τε Καυκάσου καὶ Ἰβηρίας³
 τὰ ἕρια³ ἔστιν, ἐνταῦθα ἐπιγινόμε-
 νων οἱ καὶ ἄλλων ὑδάτων μείζων
 τε παρὰ πολὺ γίνεται καὶ Φά-
 σις ἀντὶ Βόα τὸ ἐνθένδε καλού-
 μενος φέρεται, γαυσιπορος γεγε-
 νημένος ἄχρι ἕς τὸν Εὐξείνου κ-
 λούμεον πόντον, οὗ δὴ οἱ καὶ
 τὰς ἐκβολὰς ξυμβαίνει καὶ αὐτοῦ
 ἕφ' ἑκάτερα Λαζική ἔστιν. ἀλλ'
 ἐν δεξιᾷ μὲν ξύμπασα ἐπὶ πλείστον
 ἡ χώρα πρὸς τῶν τῆδε ἀνθρώπων
 οἰκεῖται μέχρι τῶν Ἰβηρίας ὀρίων.
 κῶμαί τε γὰρ αἱ Λαζῶν πᾶσαι
 τοῦ πταμοῦ ἐντὸς ἐνταῦθά εἰσι
 καὶ πολίσματα ἐκ παλαιοῦ σφίσι
 ταύτη πεποιήνται, ἐν τῆς Ἀρχαίο-
 πολις, ἔχυρωτάτη οὖσα, Σεβαστό-
 πολις τε ἐντὸς καὶ τὸ Πιτιοῦντος
 φρούριόν ἐστι Σκάνδα τε καὶ Σαρα-
 πανίς πρὸς τοὺς Ἰβηρίας ὀρίους.
 πόλεις μὲντι ἀξιολογώταται ἐν-
 ταῦθα εἰσι Ῥεδόπολις καὶ Μοχί-
 κησις⁴. τῆ δὲ ποταμοῦ ἐν ἀρισ-

და აზივეთაჳ სიძნელეს არ წარმოა-
 ღვენს არავისთვის ფონში გასა-
 სულელად ვიდრე იმ ადგილამდე,
 სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრე-
 ბი არის, ხოლო პირისპირ კავკა-
 სის მთა თავდება. აქ ბევრი სხვა-
 დასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შო-
 რის ალანებიც და აბასგებიც, რომ-
 ლებიც ქრისტიანენი არიან და
 ძველითგანვე რომელთა მეგობრე-
 ბი; აგრეთვე ზიქნიც და მათ შემ-
 დევ ჰუნნებიც, რომელთაც სავირე-
 ბი ეწოდებათ. მის შემდეგ რაც ეს
 მდინარე მიალწევს იმ ადგილს,
 სადაც კავკასიისა და იბერიის სა-
 ზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი
 სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება
 ძალიან და ნაცვლად ბოასისა ამი-
 ერიდან ფასისად წოდებული განა-
 გრობს მდინარეობას, ნაონსობისა-
 თვის გამოსადევი ვიდრე ევქსინად
 წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი
 შესართავია, და მის ორივე მხრით
 ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ
 მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე
 ვიდრე იბერიის საზღვრებამდე და-
 სახლებულია ადგილობრივი მცხოვ-
 რებლებით. ლაზთა სოფლები ხომ
 აქ ყველა მდებარეობს მდინარის
 აქითა ნაპირას⁵ და ქალაქებიც მათ
 ძველითგანვე აქ აუშენებიათ, მათ
 შორის არის არქეოპოლისი, ძალიან
 გამაგრებული, სევასტოპოლიც არ-
 ის აქ და პიტოუნტის სიმაგრეც,
 ხოლო სკანდა და სარაპანი იბე-

¹) Χριστιανῶν P. — ²) Ἰβηρίας G. — ³) ἕρια V. — ⁴) V. — ⁵) Μοχό-
 ρησις P. სხვა ხელნაწერებში Μοχίρησις.

⁵) τῶν ποταμοῦ ἐντὸς ნიშნის „მდინარის აქითა მხარეს, ხოლო თუ

τερῶ Λαζικῆς μὲν τὰ θρία ἔστι
 μέχρι ἐς ἡμέρας ἑδὼν ἐδῶν ἀν-
 θρωπῶν τὴν χώραν εἶναι. ταύτην
 προσοικῆσαι Ῥωμαῖοι τὴν χώραν,
 οἱ Πιόντικαί ἐπικαλοῦνται. ἐν μὲν
 οὖν τοῖς Λαζικῆς¹ ὁρίοις², ἐνθα δὴ
 ἀνθρώποι οὐδαμῆ φκῆντο, Πέτραν
 Ἰουστινιανὸς [δ] βασιλεὺς τὴν πό-
 λιν³ ἐν τοῖς κατ' ἐμὲ χρόνοις ἐδεί-
 ματο. οὐπερ Ἰωάννης, ὁ Τζιβὸς
 ἐπικαλούμενος, τὸ μονοπῶλιον κα-
 ταστησάμενος, ὡσπερ μοι ἐν τοῖς
 ἔμπροσθεν λόγοις ἐρήθη, αἴτιος
 τῆς ἀποστάσεως Λαζοῖς γέγενεν.
 ἐκ δὲ Πέτρας πόλεως ἰόντι εὐθὺς
 πρὸς ἀνεμὸν νότον οἱ Ῥωμαίων ἐρη-
 ἐκδέχονται, γὰρ τε παλιὰν
 θρωπῶν ἐνταυθα ἔστι. τὰ τε Ῥι-
 ζαῖον καλούμενον καὶ Ἀθηναί
 ἄλλα τε ἄλλα μέχρι Τραπεζούν-
 τῶν.

ἡνίκα μὲν οὖν ἐπιγάγοντο
 Χοσρόην Λαζοῖ. Βόαν ποταμὸν
 διαβάντες τὸν τε Φάσιν ἐν δεξιᾷ
 ἔχοντες ἐς Πέτραν ἦλθον, τῶ μὲν

π. τα. μ. σ. ἐκτός — „მდინარის იქითა მხარეს“. ჩანს, პროკოპის ცნობა დაწერი-
 ლია იმ ადამიანის მიერ, რომელიც მდინარის ჩრდილო მხარეს არის დაბინავე-
 ბული. საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ამოღებული აქვს პროკოპის იმ მოხსენებ-
 ბიდან, რომლებსაც უგზავნიდენ კონსტანტინეპოლის ცენტრალურ ხელისუფლე-
 ბას ლაზიკის ქვემო ჩამოთვლილ ციხე-სიმაგრეებში დაბინავებული სამხედრო შტა-
 ბის ნაწილები.

1) Λαζικῆς G. — 2) ὁρίοις P] γαρίοις VG. — 3) τὴν πόλιν გამო-
 ტყვებულია VG-ში.

როის საზღვრებისავენ. ყველაზე
 შესანიშნავი ქალაქები კი მაინც
 არის აქ როდოპოლის და მონირი-
 სი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მან-
 ძილზე, რომელსაც ერთ დღეში გა-
 იელის მსუბუქად დატვირთული
 კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო
 ეს მხარე მოსახლეობას მოკლესტუ-
 ლი ჩანს. ამ მხარის მეზობე აღ
 რომაელები ცხოვრობენ, რომლ-
 თაც პონტოელები ეწოდებათ. ლა-
 ზიკის მიწაწყალზე, იმ ადგილას,
 სადაც ადამიანებს არასოდეს არ
 უცხოვრობათ, იუსტინიანე მეექვსე
 ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა.
 აქ ითანე, ეგრეთწოდებული ციხე,
 მონოპოლიონის დამაწესებელი —
 როგორც ეს ჩემ მიერ ზემოთ იყო
 მოხსენებული — ლაზთა განდგომის
 მიზეზი შეიქმნა. ქალაქ პეტრადან
 პირდაპირ რომ მიდინარ კამბიე-
 თისაკენ, გზვდება რომაელთა სა-
 ზღვრები, აქ-კი ადგილები მჭად-
 როდ არის დასახლებული: რიხეუ
 წოდებული და ათინა და ზოგი
 სხვაც ვიდრე ტრაპეზუნტამდე.

როდესაც ლაზები წინ მიუძღვებო-
 დენ ხოსროს, მათ გადაუღეს მდინ-
 რე ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაშა,
 რომ ფასისი მარჯნივ ჰქონდათ,

λόγω προνοήσοντες ὡς μὴ χρόνῳ
 τε καὶ πόνῳ πολλῶν διαφορῶ-
 μέυεσθαι ἀναγκάζονται ποταμὸν
 Φάσιν, οὐ βουλόμενοι δὲ τὰ σφέ-
 τερα οἰκία Πέρσαις ἐνδείκνυσθαι.
 καίτοι¹ δύσθις πανταχόθι Λαζική
 ἔστιν ἐντός τε καὶ ἔκτος ποταμοῦ
 Φάσιδος. σκέπελοι γὰρ ὑπερφυεῖς
 ἐφ' ἑκάτερα τῆς χώρας ὄντες
 στενωποὺς ἐπὶ μακρότατον ἐνταῦ-
 θα ποιοῦνται· κλεισοῦρας ἑλλη-
 νίζοντες τὰς τοιούτας ἕδους Ῥω-
 μαῖοι καλοῦσιν. ἀλλ' ἐπεὶ τότε
 Λαζική ἀφίλακτος ἐτύγχανεν ὄ-
 σα, ῥᾶστα δὴ ἐν Πέτρῳ. ξὺν ταῖς
 ἡγεμέσι Λαζαῖς ἐγένοντο Πέρσαι.

Νῦν δὲ ὁ Γουβάζης μαθὼν τὴν
 Περσῶν ἔφοδον τῷ Δαγινθίῳ ἐπέ-
 στελλε πέμψαι μὲν τινας, οἱ φυλά-
 ξουσι τὸν στενωπὸν ἰσχυρότατα, ὃς
 ἔκτος Φάσιδος ποταμοῦ ἔστι, τὴν
 μέντοι προσεδρεῖαν ὡς ἤμιστα
 λύειν, ἕως τὴν τε Πέτρῳ καὶ Πέ-
 ρσας τοὺς ἐνταῦθα ἐξελεῖν δύνων-
 ται. αὐτὸς δὲ παντὶ τῷ Κόλχων²
 στρατῷ ἐς τὰ Λαζικῆς ἑσχάτα
 ἦλθεν, ὡς τὸν ἐνταῦθα στενωπὸν
 διαφυλάξων δυνάμει τῇ πύσῃ.
 ἐτύγχανε³ δὲ πολλῶ πρότερον Ἀλα-
 γοὺς τε καὶ Σαβείρους ἐς ξυμμα-
 χίαν ἐπαγόμενος, οἵπερ ἠμελε-

თითქოს იმიტომ, რომ მათ წინას-
 წარ განჭვრიტეს, რათა მდინარე
 ფასისის გადასასვლელად არც დრო
 და არც შრომა დასჭირვებოდათ მე-
 ტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ
 არ სურდათ სპარსელებისათვის
 ეჩვენებიათ თავიანთი საბინადრო-
